ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალი ინსტიტუტების დირექტორების არჩევნების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, მე-7 მუხლის, აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 10 მაისის №40 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 13 მაისის №20 სხდომაზე დამტკიცებული საარჩევნო კომისიის დებულების მე-9 თავის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალი ინსტიტუტების შექმნის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას მომავალი ინსტიტუტების დირექტორის/დირექტორების არჩევნების ჩატარების ორგანიზებაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, ოთახი F 112).
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) მომავალი ინსტიტუტის სახელწოდება;
   ბ) დირექტორის/დირექტორების ასარჩევ კანდიდატთა სახელობითი სია;
   გ) მომავალი ინსტიტუტის პროფესორთა და მკვლევართა სრული სია;
   დ) არჩევნების დღე.
3. ინსტიტუტის შექმნის მსურველებმა კონსულტაციისათვის მიმართონ უნივერსიტეტის იურიდულ სამსახურსა და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტს.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.
5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.
6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთა ურთიერთობის დეპარტამანტს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტებს, საინფორამციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას და რექტორის აპარატს.

რექტორი გიგი თევზაძე